

მე ნინო ჯემალის ასული ხარიტონაშვილი დავიბადე 1981 წლის 12 მაისს ქალაქ თბილისში. ვარ დაქორწინებული, მყავს მეუღლე და სამი შვილი. 1998 წელს წარჩინებით დავამთავრე N122-ე საშუალო სკოლა. 2003 წელს ასევე წარჩინებით დავასრულე ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტის სამართალმცოდნეობის კურსი. პარალელურად დავასრულე ასევე ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში ეკონომიკის ფაკულტეტის (2003 – 2005) ფინანსები, საბანკო და საგადასახადო საქმის კურსი. 2018 წლის დეკემბერში დავასრულე სწავლა დოქტურანტურაში, დავიცავი დისერტაცია და თემაზე „მესამე პირები სამოქალაქო პროცესში“ (სადისერტაციო შეფასებით „ძალიან კარგი“), რის შედეგადაც მომენიჭა სამართლის დოქტორის წოდება. წარმოგიდგენთ ინფორმაციას სამუშაო გამოცდილების შესახებ:

იურიდიული სამსახურის სპეციალისტი, სსიპ საქართველოს ნოტარიუსთა პალატა, 2013-დღემდე,

მოვალეობები: ნოტარიატთან დაკავშირებული ნორმატიული აქტებისა და სხვა დოკუმენტების პროექტების მომზადება; სასამართლოში ნოტარიუსთა პალატისა და პალატის ტერიტორიული ორგანოების წარმომადგენლობა; სასამართლო დოკუმენტაციის შედგენა-წარმოება; ნოტარიუსთა პალატის სისტემის თანამშრომელთათვის და მოქალაქეებისათვის სამართლებრივი კონსულტაციის გაწევა; ნოტარიატის საერთაშორისო სამართლებრივი ბაზისა და გამოცდილების შესწავლა-ანალიზი და ამ სფეროში მოქმედი სამართლებრივი აქტების სრულყოფის მიზნით, შესაბამისი წინადადებების წარდგენა; ნოტარიატის ქართული დელეგაციისათვის ვიზიტების დაგეგმვა და საქმიანი მიმოწერის წარმოება.

ააიპ თბილისის მედიათეკების გაერთიანება 2016 წლიდან დღემდე - დისტანციური იურიდიული მომსახურება, ადმინისტრაციული დოკუმენტების მომზადება, სასამართლო წარმომადგენლობა.

უფროსი საკრედიტო ადმინისტრატორი, სს თიბისი ბანკი, 2007-2013

მოვალეობები: საკრედიტო დოკუმენტაციის მომზადება, შემოწმება და ვიზირება, ალტას სასესხო პროგრამაში რეგისტრაცია. საჯარო რეესტრისა და შსს-ს ვებ გვერდზე გარიგებების რეგისტრაცია, თანამშრომლებისა და კლიენტების კონსულტაცია იურიდიულ საკითხებთან დაკავშირებით.

იურიდიული სამსახურის წამყვანი სპეციალისტი, ცესკო, 2005 - 2007

მოვალეობები: ცესკოს ინტერესების დასაცავად სასამართლო წარმომადგენლობის უზრუნველყოფა; ცესკოს სახელით და მისივე დავალებით მესამე პირებთან სამართლებრივ ურთიერთობებში წარმომადგენლობის

უზრუნველყოფა. საარჩევნო ადმინისტრაციის მოხელეთა და მოქალაქეთა კონსულტაცია და სამართლებრივი დახმარების აღმოჩენა. საარჩევნო და სარეგულაციო საკითხების ანალიტიკური დამუშავება და სამართლებრივი რეკომენდაციების გაცემა, დასკვნების მომზადება. საარჩევნო მოხელეთა ტესტირებისათვის საჭირო მასალის დამუშავება-მომზადება. სამართლებრივი დოკუმენტაციის შემუშავების პროცესში მონაწილეობა, სხვადასხვა ტიპის ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტების პროექტების კანონთან შესაბამისობის შემოწმება და ვიზირება.

ნორმატიული უზრუნველყოფის სამმართველოს კონსულტანტი, საერთო სასამართლოების დეპარტამენტი, 2002 - 2005

მოვალეობები: საერთო სასამართლოებში ერთიანი პრაქტიკის დანერგვის, სახელმწიფო ბაჟების გადადევინების, საქმის განხილვის ვადების დაცვის შემოწმება და დასკვნების შემუშავება, მოსამართლეთა კონფერენციების საორგანიზაციო საკითხებში მონაწილეობა, სასამართლოთა თარჯიმნებით უზრუნველყოფისათვის თარჯიმნების ტრენინგი. მოსამართლეთა კონფერენციის ადმინისტრაციული კომიტეტისა და საკოორდინაციო საბჭოს სხდომის მდივანი. თ. ლილუაშვილის ხელმძღვანელობით შექმნილი საერთო სასამართლოების შემოწმებისა და პრაქტიკის განზოგადების ჯგუფის წევრი.

პედაგოგიური მოღვაწეობის გამოცდილება

2019 თბილისის ღია უნივერსიტეტი, მოწვეული ლექტორი, კურსი საოჯახო და მემკვიდრეობითი სამართალი.

2018 სსიპ „საქართველოს ნოტარიუსთა პალატის“ სასწავლო ცენტრი, მოწვეული ლექტორი, კურსი „სამოქალაქო პროცესი“;

2018 პროექტი მიტარბი 360-ის ფარგლებში მოწვეული ლექტორი, კურსი „ინტელექტუალური სამართლის მოკლე კურსი“;

2014 მართლმსაჯულების დამოუკიდებლობისა და სამართლებრივი გაძლიერების პროექტი, კლიენტთა კონსულტირების ტრენინგი, ტრენერი;

2003-2004 N122-საშუალო სკოლა - პრაქტიკული სამართალი, სამართლის საწყისები;

2002 – 2004 პაატა გუგუშვილის სახელობის კოლეჯი, მასწავლებელი, შრომის სამართალი, საოჯახო სამართალი;

2002 - არასამთავრობო ორგანიზაცია „Youth Centre of Civil Education, პროექტი Street law, ტრენერი.

გამოქვეყნებული შრომები

2017 მესამე პირები როგორც სამოქალაქო სამართალწარმოების სუბიექტები სამართლის ჟურნალი, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა, 2017 ISSN 2233-3746 , N1, 2017.

2017 მესამე პირები საზოგადოებაში თანამედროვე თანამშრომლობისა და პარტნიორობის სამსახურში, მე-3 დისციპლინათაშორისი სამეცნიერო და პრაქტიკული კონფერენციის „თანამედროვე საზოგადოება და თანამშრომლობა“ მასალები, ვარშავა, პოლონეთი, 01.07.2017.

2017 მესამე პირები საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსში, სამეცნიერო პრაქტიკული გამოცემა საარბიტრაჟო და სამოქალაქო პროცესი, N2 (2017), PI NΦC77-292166 consultant.ru, (თანაავტორი მაქსიმ გორელოვი);

2017 მესამე პირები საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსში, სამოქალაქო სამართლისა და სამოქალაქო საქმისწარმოების აქტუალური პრობლემები, მე-5 სამეცნიერო პრაქტიკული კონფერენციის სტატიების კრებული, ჩელიაბინსკის სახელმწიფო უნივერსიტეტი, (თანაავტორი მაქსიმ გორელოვი);

2017- მესამე პირები საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსში, რუსეთის მართლმსაჯულების სახელმწიფო უნივერსიტეტის კაზანის ფილიალი, სამართლის გამოყენებისა და რეალიზაციის საშუალებათა სრულყოფა, რუსეთის მე-4 სამეცნიერო და პრაქტიკული კონფერენციის მასალები, სტატიათა კრებული, ISBN 978-5-9690-0366-8, (თანაავტორი მაქსიმ გორელოვი);

2017 „სამართლისა და მორალის ქრისტიანული გაგება“, საერთაშორისო სამეცნიერო პრაქტიკული კონფერენცია „ეკონომიკა, ქრისტიანობა და სოციალური ინსტიტუტები“, კონფერენციის მასალები, მინსკი 28-29 იანვარი, 2017.

2016 „მესამე პირების მონაწილეობის პრობლემატიკა სამოქალაქო პროცესში“, სამეცნიერო პროცესების საერთაშორისო ნაკრები «European Cooperation», Vol 4, No 11 (2016), განთავსებულია ბმულზე: <http://we.cmconsulting.pl/index.php/we/article/view/151/460>.

2016 მესამე პირების ჩართვის მნიშვნელობა სამოქალაქო პროცესში, THE SIGNIFICANCE OF INTERVENTION IN THE CIVIL PROCEDURE, ჟურნალი სამართალი და მსოფლიო, გამოცემის შესრულების თარიღი 04.2016, http://www.lawandworld.ge/uploads/magazine/magazine_N4.pdf;

2015 „სამოქალაქო პროცესში მონაწილე მესამე პირების ინსტიტუტის განვითარების ისტორიული მიმოხილვა“, საერთაშორისო სამეცნიერო-პრაქტიკული ჟურნალი „ცხოვრება და კანონი“ N4(32), 2015;

2008 „კერძო საჩივარი“ სსიპ „ახალციხის ინსტიტუტი“, სამეცნიერო კონფერენცია;

კონფერენციაზე წარმოდგენილი ნაშრომები

2017 მე-3 დისციპლინათაშორისი სამეცნიერო და პრაქტიკული კონფერენცია „თანამედროვე საზოგადოება და თანამშრომლობა“, ვარშავა, პოლონეთი. სერტიფიკატი C17017. 01.07.2017.

2017 - მესამე პირები საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსში, სამოქალაქო სამართლისა და სამოქალაქო საქმისწარმოების აქტუალური პრობლემები, მე-5 სამეცნიერო პრაქტიკული კონფერენციის სტატიების კრებული, ჩელიაბინსკის სახელმწიფო უნივერსიტეტი, (თანაავტორი მაქსიმ გორელოვი);

პროექტები და გაერთიანებები

2015 ნოტარიუსთა საერთაშორისო კავშირის ინდივიდუალური წევრი 2015 წლიდან-2017 წლამდე;

2014 მართლმსაჯულების დამოუკიდებლობისა და სამართლებრივი გაძლიერების პროექტი, კლიენტთა კონსულტირების ტრენინგი, ტრენერი;

2009 საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის წევრი (ამჟამად შეჩერებული სტატუსით);

2009-2013 საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს ავტორიზებული მომხმარებელი;

2009-2013 შინაგან საქმეთა სამინისტროს ავტორიზებული მომხმარებელი.

2002 არასამთავრობო ორგანიზაცია „Youth Centre of Civil Education, პროექტი Street law, ტრენერი;

2002 კონსტიტუციის 42-ე მუხლი - კლინიკის პროექტი, პროექტის მონაწილე;

საკვალიფიკაციო გამოცდები:

2014 ნოტარიუსთა საკვალიფიკაციო გამოცდა, საქართველოს იუსტიციის სასწავლო ცენტრი; თბილისი, საქართველო;

2005 საარჩევნო ადმინისტრაციის მოხელეთა საერთიფიცირება, თბილისი, საქართველო;

2005 სახელმწიფო რეესტრის საკვალიფიკაციო გამოცდა, თბილისი, საქართველო;

2003 ადვოკატთა საკვალიფიკაციო გამოცდა, თბილისი, საქართველო;

2003 პროკურატურის საკვალიფიკაციო გამოცდა, თბილისი, საქართველო.

ტრენინგები, სხვა მიღწევები

2018 - საერთაშორისო კონფერენცია „საოჯახო საკუთრების რეჟიმები ევროკავშირის 2016/1103/1104 რეგულაციებთან მიმართებაში“, ბუდაპეშტი, უნგრეთი, საქართველოს ნოტარიატის წარმომადგენელი, 25.10.2010

2018 – საჯარო პოლიტიკის ანალიზი, პროექტი: „საჯარო მმართველობის რეფორმის ხელშეწყობა საქართველოში“, მთავრობის ადმინისტრაცია, UNDP;

2017 - მე-3 დისციპლინათაშორისი სამეცნიერო და პრაქტიკული კონფერენცია „თანამედროვე საზოგადოება და თანამშრომლობა“, ვარშავა, პოლონეთი. სერტიფიკატი C17017. 01.07.2017.

2017 სიახლეები საჯარო სამსახურის გავლის წესში და სისტემაში გასატარებელი ცვლილებები, საქართველოს იუსტიციის სასწავლო ცენტრი, სერტიფიკატი.

2016 „დროის მართვა და გუნდური მუშაობა“ - სსიპ საქართველოს ნოტარიუსთა პალატის სასწავლო ცენტრი, სერტიფიკატი.

2016 მსოფლიო ბანკი, მადლიერების სერტიფიკატი enabling the business of agriculture – 2016 მოხსენებაში შეტანილი წვლილისათვის;

2014 – მსოფლიო ნოტარიატის უნივერსიტეტი, მე-3 გამოშვება, რომი იტალია, სერტიფიკატი;

2014 საქართველოს იუსტიციის სასწავლო ცენტრი, ნოტარიუსთა საკვალიფიკაციო გამოცდა, სერთიფიკატი;

2014 - მართლმსაჯულების დამოუკიდებლობისა და სამართლებრივი გაძლიერების პროექტი (JILEP), Georgia Client Counseling Competition, ტრენერი;

2013 - პრეზენტაციის უნარები და წერილობითი კომუნიკაცია, USAID;

2013 - სამართლებრივი ჩარჩო საქართველოში, USAID;

2013 - იუსტიციის სასწავლო ცენტრი, შრომის კოდექსი;

2002 - არასამთავრობო ორგანიზაცია „Youth Centre of Civil Education, პროექტი Street law;

1999 - საქართველოს გაეროს ასოციაცია, მოდელირება;

1997 - ახალგაზრდული საინფორმაციო სააგენტო „მთენი“, ჟურნალისტიკის საწყისები.

1993 - შემოქმედ ბავშვთა კონკურსი, ჟურნალი დილა, გამარჯვებული პროზაში.

პირად საქმეში შეტანილი მადლობები:

2004 უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარის (ლადო ჭანტურიას) მადლობა მოსამართლეთა კონფერენციის ორგანიზებაში მონაწილეობისათვის;

2012 სს თიბისი ბანკის გენერალური დირექტორის (ვახტანგ ბუცხრიკიძის) მადლობა აუდიტორული შემოწმების შედეგად მიღებული უმაღლესი შეფასებისათვის;

2016 სსიპ „საქართველოს ნოტარიუსთა პალატის“ თავმჯდომარის მადლობა პირად საქმეში შეტანით (N19/კ), 2016 წლის 24 თებერვალი.

ენები

ქართული - მშობლიური,

ინგლისური - ძალიან კარგი

რუსული - კარგი,

გერმანული - დამწყები,

კომპიუტერული პროგრამები:

Microsoft Office Excel, Microsoft Office PowerPoint, Microsoft Office Word, Alta.

როგორც ჩემი რეზიუმედან ჩანს, 2003 წლიდან გამაჩნია როგორც საჯარო, ასევე კერძო სექტორში მუშაობის გამოცდილება, გარდა ამისა ვეწევი სამეცნიერო და პედაგოგიურ მოღვაწეობას. ჩემი კარიერის განმავლობაში ყოველთვის ვისწრაფვოდი და ვისწრაფვი კვალიფიკაციის ამაღლებისაკენ. როგორც ნოტარიუსთა პალატის იურისტი, რეგულარულად ვეცნობი საერთაშორისო სანოტარო კანონმდებლობას, ვმუშაობ ნოტარიატის რეფორმის ფარგლებში განსახორციელებელ კანონთა პროექტებზე, პრობლემატურ სანოტარო საკითხებზე რეკომენდაციების შემუშავებაზე, შესაბამისად საერთაშორისო პრაქტიკისა და გამოცდილების გაზიარებას აქტიურად ვახორციელებ ყოველდღიურ საქმიანობაში. გამაჩნია ინგლისურის საკმარისი ცოდნა, ჩემი სამუშაოს აღწერაში შედის უცხოურ კანონმდებლობაზე მუშაობა. შესაბამისად, გარდა სალაპარაკო დონისა, სრულყოფილად ვიცი იურიდიული ტერმინოლოგია ინგლისურ ენაზე.

მინდა აღვნიშნო, რომ უზენაესი სასამართლოს მოსამართლეობა დიდი პასუხისმგებლობა იქნება ჩემთვის. ასევე, ვარ სამართლიანი და დამოუკიდებელი და ინტელექტუალური ადამიანი მაღალი ღირებულებებით, შესაბამისად ვფიქრობ მოსამართლეთა კორპუსს ჩემი სახით შეემატება კარგი მოსამართლე. გამომდინარე ზემოაღნიშნულიდან, მიმაჩნია, რომ ვაკმაყოფილებ მოსამართლის საკვალიფიკაციო მოთხოვნებს.

გამოვხატავ თანხმობას, რომ საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მიერ ჩემს შესახებ ინფორმაციის (მათ შორის, პირის პერსონალური მონაცემების) ამ კანონის 342 მუხლით დადგენილი წესით მოძიებაზე/გადამოწმებაზე და საქართველოს პარლამენტისთვის გადაცემაზე/გასაჯაროებაზე

საკონტაქტო ინფორმაცია:

მობილური: [REDACTED]

მისამართი: თბილისი, [REDACTED]

ტელ: [REDACTED]

პირადი ნომერი [REDACTED]

ავტომანქანის მართვის მოწმობის [REDACTED]

ელ-ფოსტა: [REDACTED]